ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №497809

ნომერი: AR1101274

თარიღი : 03.01.2013

გაცემის თარიღი : 09.01.2013

გაცნობის თარიღი : 18.01.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დავით აღმაშენებელი , N 154 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ერიქაშვილი პ/ნ 01008010386
- თბილისი მ.თამარაშვილის ქ. N 9 ბ. 17

ორგანიზაცია:

- მცირე და საშუალო ბიზნესის საინვესტიციო ფონდი მწვანე კაპიტალი კოდი: 201951682

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ

თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, დავით აღმაშენებლის გამზ. N154–ში მდებარე შენობაზე სარეკლამო ბანერების მოწყობის ნებართვას.

გაცნობებთ, რომ არქიტექტურული თვალსაზრისით სამსახურისთვის მისაღებია სარეკლამო ბანერების განთავსება დროებით, მხოლოდ გვერდითა ფასადზე (ვერტიკალური სარეკლამო ბანერი) და მთავარ ფასადზე (ჰორიზონტალური სარეკლამო ბანერი), ფასადის შუა ნაწილში კი – მიუღებელია.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. ფოტომონტაჟზე არ არის მითითებული სარეკლამო ბანერების ზომები და მასალა;
2. არ არის წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა სარეკლამო ბანერების მოწყობასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენისა და მითითებული ხარვეზების გამოსწორების შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7) დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge